საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დიოსკორეა

დიოსკორეა (Dioscorea), მცენარეთა გვარი დიოსკორეასებრთა ოჯახისა.

საქართველოში იზრდება ამ გვარის ერთი სახეობა – კავკასიური დ. (D. caucasica). ორსახლიანი მრავალწლოვანიბალახოვანი მცენარეა. აქვს ძალიან გამსხვილებული ფესურა, ხვიარა ღერო, მორიგეობით, ზოგჯერ თითქმის საპირისპიროდ განლაგებული ბადეძარღვიანი ფოთლები.

დიოსკორეა კავკასიური
დიოსკორეა (Dioscorea caucasica)

უძველესი კოლხური ფლორის რელიქტი და ენდემია. გავრცელების ვიწრო არეალი აქვს. იზრდება მხოლოდ აფხაზეთში, ზ. დ. 1600 მ-მდე, უფრო სამხრ. კალთებზე, დას. და აღმ. კალთების კარგად განათებულ ადგილებში. ფესურა შეიცავს საპონინს.

სამკურნალოა. იყენებენ დეკორ. მებაღეობაში. შეტანილია „საქართველოს წითელ წიგნში".

მ. გურგენიძე